კონსტრუქციული დასკვნა

ქ. თბილისში, ალექსიძის ქ. 1, ნაკვ. 01.10.13.038/019-ზე განთავსებული ნაგებობების ტექნიკურ მდგომარეობისა და მათი მდგრადობისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, ალექსიძის ქ. 1, ნაკვ. 01.10.13.038/011-ზე დასაპროექტებელი შენობის მშენებლობის პერიოდში

ქ. თბილისში, ალექსიძის ქ. 1, ნაკვ. 01.10.13.038/019-ზე განთავსებული ნაგებობები წარმოადგენენ ერთსართულიან შენობებს, რომელთა მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენენ აგურის კედლები. საძირკვლის კონსტრუქციად გამოყენებულია ყორე-ბეტონის ლენტური საძირკველი, რომლებიც მიწის ზედაპირიდან განთავსებული 0,8-1,0 მ სიღრმეზე.

გადახურვა შესრულებულია ხის კონსტრუქციებით, სახურავიც ასევე ხის კონსტრუქციისა, ერთი- და ორქანობიანი.

შენობები დამაკმაყოფილებელ ტექნიკურ მდგომარეობაშია.

ალექსიძის ქ. 1, ნაკვ. 01.10.13.038/011-ზე დასაპროექტებელი ნაგებობა შედგება ორი მიწისქვეშა, რვა მიწისზედა და ერთი ტექნიკური სართულისაგან.

მის მზიდ კონტრუქციებს წარმოადგენს რკინა-ბეტონის მონოლითური კარკასი (სვეტები, რიგელები).

საძირკვლის კონსტრუქციად გამოყენებულია მონოლითური ფილოვანი საძირკველი, რომლის დაფუძნებაც ხდება გამოფიტულ ძირითად ქანზე, საანგარიშო წინაღობით 4,5 კგძ/სმ^2.

დასაპროექტებელი ნაგებობის ის ნაწილი, რომელიც ემიჯნება არსებულ ნაგებობებს, ორსართულიანია.

ვინაიდან დასაპროექტებელი ნაგებობის დაფუძნება ხდება პრაქტიკულად არაკუმშვად გრუნტზე და რომ დასაპროექტებელი შენობის ის ნაწილი, რომელიც ემიჯნება არსებულ ნაგებობებს არის ორსართულიანი, მისი საძირკვლის ფუძიდან გადაცემული დატვირთვები ზეგავლენას ვერ მოახდენს არსებულ შენობებზე.

რადგან დასაპროექტებილი ნაგებობის საძირკვლის ძირი მიწის ზედაპირიდან დაახლოებით 5 მეტრზე იქნება განთავსებული, არსებულ და

დასაპროექტებელ ნაგებობის საძირკვლების ძონეთა შორის სხვაობა შეადგენს დაახლოებით 4,0-4,5 მ.

არსებული ნაგებობის საძირკვლების და ქვაბულის ფერდის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, საჭიროა მოეწყოს დახრილი ინექციური ხიმინჯებისა და ამ ხიმინჯებზე დამაგრებული რკინა-ბეტონის არმირებული კედლის ერთობლიობა, ან 30 სმ დიამეტრის ხიმიჯების კედელი. ფერდის დამჭერი რკინა-ბეტონის კედელი უნდა მდებარეობდეს საპროექტო ნაკვეთის №01.10.13.038/011 წითელ ხაზებში.

შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი"

დირექტორი ბ. მირიანაშვილი

ექსპერტი – მთავარი სპეციალისტი

კონსტრუქტორი ფ. კონტრიძე

21.11.2014